

ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რამ განაპირობა ძვ.წ. XIV საუკუნეში ეგვიპტეში ახალი დედაქალაქის - ახეტატონის დაარსება?

- ა. ნილოსის დინების ცვლილებამ
- ბ. ფარაონის რელიგიურმა რეფორმამ
- გ. ქურუმთა წინასწარმეტყველებამ
- დ. ახალი დინასტიის გამეფებამ

2. რა იყო პელოპონესის ომის უმთავრესი მიზეზი?

- ა. დაპირისპირება კორინთოსა და ლაკედემონს შორის
- ბ. გაძლიერებული მაკედონიის სამეფოს აგრესიული პოლიტიკა
- გ. ბრძოლა პირველობისთვის ათენსა და სპარტას შორის
- დ. სპარსელთა ბალკანეთში გაბატონების სურვილი

3. რატომ ეწოდა რომის რესპუბლიკის ცნობილ სარდალ სციპიონს „აფრიკელი“?

- ა. სციპიონთა საგვარეულო წარმოშობით აფრიკიდან იყო
- ბ. მისი ლეგიონერების უმრავლესობა აფრიკელი იყო
- გ. დაიპყრო აფრიკაში მდებარე უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფო
- დ. მეორე პუნიკური ომის დროს დიდ წარმატებას მიაღწია აფრიკაში

4. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა სულა?

- ა. ეგვიპტის
- ბ. მაკედონიის
- გ. პონტოს
- დ. სელევკიდების

5. რა ტიტული მიანიჭა ბიზანტიის იმპერატორმა ქართლის პირველ ერისმთავარს VI საუკუნის II ნახევარში?

ა. მაგისტროსის

ბ. კურაპალატის

გ. ნოველისიმოსის

დ. სევასტოსის

6. რა გზით მოხვდნენ არაბები დასავლეთ ევროპაში 711 წელს?

- ა. ჩრდილოეთ აფრიკიდან გიბრალტარის სრუტის გადალახვით
- ბ. ეგვიპტიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადასხდომის შემდეგ
- გ. მცირე აზიიდან ბოსფორის სრუტეზე გადასვლით
- დ. კართაგენიდან აპენინის ნახევარკუნძულზე გადასვლით

7. რა მიუთითებს საქართველოს სამეფოს პოზიციების შესუსტებაზე დემეტრე I-ის მეფობისას?

- ა. ქალაქ ანისის დათმობა მუსლიმთათვის
- ბ. კათოლიკური საეპისკოპოსოს გაუქმება თბილისში
- გ. ჯვაროსნების დახმარებაზე უარის თქმა
- დ. იმიერტაოს გადაცემა ბიზანტიის იმპერიისთვის

8. რა მიუთითებს საქართველოს სამეფოს პოზიციების გაძლიერებაზე გიორგი III-ის მეფობისას?

ა. ირანში ლაშქრობა

ბ. ქალაქ დვინის დაკავება

გ. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა

დ. არდებილის სულთნის დატყვევება

9. რა ვითარებაში მიიღეს ინგლისში „თავისუფლების დიდი ქარტია“ 1215 წელს?

- ა. მეფემ დოკუმენტი სახალხო კრებას წარუდგინა, რომელმაც ის დაამტკიცა
- ბ. დოკუმენტი პარლამენტმა შეიმუშავა და მეფე ხელმოწერით დაეთანხმა
- გ. მეფის წინააღმდეგობის მიუხედავად, დოკუმენტი ლორდთა პალატამ დაამტკიცა
- დ. დიდებულებმა აიძულეს მეფე, დათანხმებოდა ამ დოკუმენტს

10. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გაუადვილა მონღოლებს საქართველოს დაპყრობა?

- ა. სამეფო ხელისუფლების არარსებობამ, რადგან რუსუდან მეფე ახალი გარდაცვლილი იყო
- ბ. ქართველები დასუსტებული იყვნენ ბიზანტიასთან ხანგრძლივი ომით
- გ. ქართველი ფეოდალების პასიურობამ, ვინაიდან უმეტესობა საკუთარ ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტა
- დ. სახელმწიფოში არსებულმა შიდა დაპირისპირებამ, აჯანყებამ ფხოვსა და დიდოეთში

11. რა მოვლენამ გააუარესა საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოსთვის XV საუკუნის შუა ხანებში?

- ა. კონსტანტინოპოლის დაცემამ და ბიზანტიის განადგურებამ
- ბ. ყიზილბაშების გამღიერებამ და მათ მიერ ტრაპიზონის დაპყრობამ
- გ. ნიკეის დაცემამ და ლათინთა იმპერიის დაშლამ
- დ. მუსლიმთა მიერ იკონიის აღებამ და რუმის სასულთნოს ჩამოყალიბებამ

12. რით იყო მნიშვნელოვანი XVI საუკუნის II ნახევარში მომხდარი ლეპანტოს ბრძოლა?

- ა. ევროპელებმა პირველი დიდი მარცხი აგემეს ოსმალებს
- ბ. ოსმალებმა მოახერხეს ჰაბსბურგთა წინსვლის შეჩერება
- გ. მუსლიმებმა შეწყვიტეს კუნძულ მალტის ალყა
- დ. ქრისტიანებმა დათმეს აპენინის ნახევარკუნძული

13. რა მიზნით შეიქმნა იეზუიტთა ორდენი?

- ა. წმინდა მიწის გასათავისუფლებლად
- ბ. კათოლიციზმის გასაძლიერებლად
- გ. მივიწყებული რაინდული წესების აღსადგენად
- დ. კონსტანტინოპოლის დამცველთა მხარდასაჭერად

14. ვინ იყო „ბართლომეს ღამის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი?

ა. მარგარიტა ვალუა

ბ. იზაბელა კასტილიელი

გ. მარია სტიუარტი

დ. ეკატერინე მედიჩი

15. ვისა და ვის შორის დაპირისპირებამ გამოიწვია სამოქალაქო ომი ინგლისში XVII საუკუნის 40-იან წლებში?

- ა. მეფესა და ინკვიზიციას
- ბ. ინკვიზიციასა და პაპისტებს
- გ. პაპისტებსა და პარლამენტს
- დ. პარლამენტსა და მეფეს

16. რა იყო კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი?

- ა. საფრანგეთში ძლიერი თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა
- ბ. გენერალური შტატების აღდგენა და მისი მნიშვნელობის გაზრდა
- გ. რელიგიური ომების შედეგად შესუსტებული სამეფო ხელისუფლების გაძლიერება
- დ. ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბება და კონსტანტინოპოლის გათავისუფლება

17. რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომები იწყებენ ჩრდილოეთ ამერიკის აქტიურ კოლონიზაციას XVII საუკუნეში?

ა. პორტუგალიის

ბ. ინგლისის

გ. რუსეთის

დ. გერმანიის

18. რა უკავშირდება მეფე ვახტანგ VI-ის სახელს?

ა. ქართლ-კახეთის გაერთიანება

ბ. კანონთა კრებულის შექმნა

გ. ყიზილბაშთა განდევნა

დ. აკადემიის აღდგენა

19. ვინ იყო პირველი ენციკლოპედიის შექმნისა და გამოცემის ინიციატორი?

ა. ერასმუს როტერდამელი

ბ. ჟორჟ დანტონი

გ. დენი დიდრო

დ. ადამ სმიტი

20. რა იყო მორიგე ჯარის საქმიანობის ერთ-ერთი შედეგი?

- ა. აღდგა სამეფო ხელისუფლების გავლენა სამცხე-ჯავახეთზე
- ბ. განიდევნა ყიზილბაშური გარნიზონი გორიდან
- გ. სრულიად შეწყდა ოსმალთა შემოსევები
- დ. შემცირდა ლეკთა მარბიელი თავდასხმები

21. რა იყო 1812 წელს გამართული ბოროდინოს ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი?

- ა. ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა კაპიტულაციას
- ბ. რუსეთი შეუერთდა კონტინენტურ ბლოკადას
- გ. ნაპოლეონ I-მა გასცა უკანდახევის ბრძანება
- დ. ფრანგებმა დაიკავეს მოსკოვი

22. რა იყო საქართველოში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება?

- ა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება
- ბ. ქართველთათვის სამხედრო სამსახურის სრული აკრძალვა
- გ. ქართულ სამეფოებში არსებული წარმომადგენლობითი ორგანოების გარეკვა
- დ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული სამეფო რეზიდენციების დანგრევა

23. რა იყო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბერლინში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა?

- ა. ბათუმი ცხადდებოდა თავისუფალ სავაჭრო ქალაქად
- ბ. სოხუმი გადადიოდა რუსეთის იმპერიის გამგებლობაში
- გ. ფოთი ინარჩუნებდა დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსს
- დ. ტრაპიზონი უბრუნდებოდა ოსმალეთის იმპერიას

24. რა იყო 1917 წლის ნოემბერში თბილისში შეკრებილი ეროვნული ყრილობის მუშაობის ერთ-ერთი შედეგი?

- ა. ეროვნული საბჭოს არჩევა
- ბ. პარიტეტული კომიტეტის დაფუძნება
- გ. რევოლუციური კომისარიატის შექმნა
- დ. დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნა

25. რას ითვალისწინებდა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმა?

- ა. ფერმერებისაგან ზედმეტი მიწის ფართობის გამოსყიდვას
- ბ. კერძო მფლობელობაში არსებული მიწის სრულ ნაციონალიზაციას
- გ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის კერძო საკუთრებაში გადაცემას
- დ. კერძო მფლობელობაში არსებული მიწების ბაზაზე კოლმეურნეობების შექმნას

26. რა ეწოდებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაწყებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ორგანოს?

- ა. არალეგალური საბჭო
- ბ. თავისუფლების კომიტეტი
- გ. ეროვნული კავშირი
- დ. სამხედრო ცენტრი

27. სად განიცადა ყველაზე დიდი ზარალი ქართულმა საბჭოთა დივიზიებმა მეორე მსოფლიო ომის დროს?

- ა. ქერჩისთვის ბრძოლისას
- ბ. სტალინგრადის დაცვისას
- გ. ბერლინის აღებისას
- დ. ლენინგრადის ბლოკადისას

28. რას გულისხმობდა ცივი ომის დროს შემუშავებული „ტრუმენის დოქტრინა“?

- ა. აფრიკასა და აზიაში დეკოლონიზაციის პროცესის შეჩერებას
- ბ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიკურ ბლოკადას
- გ. თავისუფალი ერების ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას
- დ. განვითარებად ქვეყნებში მემარცხენე მთავრობების მხარდაჭერას

29. რა მოიმოქმედა სსრკ-ს ხელმძღვანელობამ, როდესაც უნგრეთში 1956 წელს ანტისაბჭოთა გამოსვლები დაიწყო?

- ა. ჯარის ნაწილები შეიყვანა ბუდაპეშტში
- ბ. განახორციელა ქვეყნის სრული ეკონომიკური ბლოკადა
- გ. მოითხოვა უნგრეთის გარიცხვა ვარშავის ხელშეკრულებიდან
- დ. დასავლეთის სახელმწიფოების ზეწოლის შედეგად ცნო უნგრეთის დამოუკიდებლობა

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჯვაროსნულ ეპოქასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ფრიდრიხ I ბარბაროსას დაღუპვა
2. ტამპლიერთა ორდენის დაარსება
3. სალადინის მიერ იერუსალიმის აღება

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნის II ნახევარში იტალიაში განვითარებული მოვლენები:

1. გარიბალდის სამხედრო ექსპედიცია კუნძულ სიცილიაზე
2. პაპის ოლქის შესვლა იტალიის სამეფოს შემადგენლობაში
3. კავურის დანიშვნა სარდინიის პრემიერ-მინისტრად


32. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1914-1918 წლებში მომხდარი მოვლენები:

1. იუტლანდის საზღვაო ბრძოლა
2. ოსმალეთის ჩაბმა მსოფლიო ომში
3. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადება

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33-34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. №33 დავალების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო №34-ის - 4.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე




დავალება 33.

№1



№2



ილუსტრაციებზე ასახულია XIX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსი და მოვლენა, რომელიც მის მოღვაწეობას უკავშირდება.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:


(1) **33.1.** დაასახელეთ პიროვნება, რომელიც N2 ილუსტრაციაზეა გამოსახული.

(1) **33.2.** რომელ სახელმწიფოში მომხდარი რა ისტორიული მოვლენის ერთი ეპიზოდია ასახული N1 ილუსტრაციაზე?

(1) **33.3.** რა იყო იმ ისტორიული მოვლენის მთავარი მიზეზი, რომლის ერთი ეპიზოდიც N1 ილუსტრაციაზეა ასახული?

(1) **33.4.** რა თანამდებობა ეკავა N2 ილუსტრაციაზე გამოსახულ პოლიტიკურ მოღვაწეს N1 ილუსტრაციაზე ასახული მოვლენის დროს?

(1) **33.5.** რა შედეგით დასრულდა ისტორიული მოვლენა, რომლის ერთი ეპიზოდიც N1 ილუსტრაციაზეა ასახული?



მუშებო!

ოძიანობის ხანაში მუშებმა ხანგრძლივი ბრძოლით მო-
პოებულნი უფლებანი ვუკლავან დაკარგეს.

სოციალ-დემოკრატიაში საქართველოში მოიპოვა 8 სა-
ათის სამუშაო დღე და უსრუნველ ჰყო კავშირთა თავი-
სუფლება და შრომის დაცვა.

სამა მიეცით მუშათა წარუცხის სიას

ნოე ჟორდანიანი

№ 1.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **34.1.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად იმ პარტიას, რომლის საარჩევნო პლაკატიცაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?

(1) **34.2.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სრულად ჩამოთვალეთ რას ასახელებს ეს პარტია თავის მონაპოვრად?

(1) **34.3.** თქვენი აზრით, რატომ არის საარჩევნო პლაკატზე გამოსახული ნოე ჟორდანია?

(1) **34.4.** რომელ წელს გაიმართა არჩევნები, რომლის სააგიტაციო პლაკატიცაა წარმოდგენილი?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

დავალება 35.

1794 წელს საფრანგეთის კონვენტის წევრთა ერთი ნაწილი საჭიროდ თვლიდა გადატრიალების გზით რობესპიერისა და მისი თანამებრძოლების ხელისუფლებიდან ჩამოცილებას. მეორე ნაწილი კი ამის წინააღმდეგი იყო.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც გადატრიალების მოწყობის მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც გადატრიალების მოწყობის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

დავალება 36.

1920 წელს ერთა ლიგაში განიხილებოდა საქართველოს მიღების საკითხი. ერთა ლიგის დელეგატთა ნაწილი მიღების მომხრე იყო, ნაწილი კი - წინააღმდეგი.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც საქართველოს ერთა ლიგაში მიღების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.


მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც საქართველოს ერთა ლიგაში მიღების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **37.2.** რას ვუწოდებთ იმ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის ტერიტორიაც, რუკის მიხედვით, მიიტაცა ოსმალეთმა?

(1) **37.3.** დაასახელეთ პიროვნება, რომელიც რუკაზე ასახული პერიოდის დროს გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე იყო.

(1) **37.4.** დაასახელეთ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე (მეფის გარდა), რომლის სახელიც უკავშირდება რუკაზე აღნიშნულ ბრძოლებს.

(2) **37.5.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ ორი ქართული სამეფო, რომლებსაც ესაზღვრებოდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული პოლიტიკური ერთეული.

(2) **37.6.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ ქართული სამთავროები, სადაც არსებობდა კათოლიკური მისიონები.

ინსტრუქცია დავალებისთვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალეზა 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

„ხედავდა მეფე დავითი, რომ არ ჰყავდა მას ისეთი სიმრავლე მეომრებისა, რომ საკმარისი ყოფილიყო ქალაქებისა და ციხეების დასაცავად და ასევე ზამთარ-ზაფხულ ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ ამ მეორე ალექსანდრემ თავისი დიდი გონებით განიზრახა, რომ არ იყო სხვა გამოსავალი: იცოდა ყივჩაღთა სიმრავლე, უწყოდა მათი სიმამაცის, სიმარჯვის, სიმარდის შესახებ ბრძოლაში. ისიც იცოდა, რომ ადვილად სამართავნი იყვნენ და დაემორჩილებოდნენ მის ნებას.

ყივჩაღებმა სიხარულით მიიღეს მისი მოწვევა. მხოლოდ ითხოვეს ოვსთაგან მშვიდობიანი გატარება. ამიტომ განიზრახა მეფემ ოვსეთში წასვლა, თან გაიყოლა თავისი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი გიორგი. შევიდნენ ოვსეთში. აიყვანა მძევლები

დავითმა ორივე მხრიდან და მოარიგა ეს ორი ხალხი. დაეუფლა დარიალს, ოვსეთის მისადგომებისა და კავკასიის მთიანეთის ყველა ციხეს. შეუქმნა უსაფრთხო გზა ყივჩაღებს, შემოიყვანა მათი დიდი სიმრავლე.

ოვსეთში ყოფნისას გარდაიცვალა გიორგი ჰყონდიდელი. დიდი პატივით ჩამოასვენეს ახალ მონასტერში და იქ დაკრძალეს. როგორც მამა და მამაზე მეტად, ისე იგლოვა ის მთელმა სამეფომ და თვით მეფემაც. შავით შეიმოსენ ორმოცი დღის მანძილზე, ვიდრე არ იშვა ვახტანგი, რომლის დაბადების სიხარულმაც გადაფარა გლოვა.

დავითმა ყივჩაღები ოჯახებითურთ ნაყოფიერ ადგილებში დაასახლა. მათგან ლაშქარში ორმოცი ათასი მსახურობდა. ისინი ცხენებითა და საჭურველით

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

აღკაზმა. შემოიკრიბა რა ყივჩაღები, დაანაწილა ისინი რაზმებად და დაუდგინა სარდლები. შეიყვანა ამ რაზმებში თავისი სამეფოს რჩეული მხედრებიც. მათ წინ დავითი მიუძღოდა. იწყო სპარსეთის რბევა, შარვანისა და დიდი სომხეთისა. ვინლა შეძლებდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას?

შევიწროებული თურქმანები, აგრეთვე განძელ-ტფილელ-დმანელი ვაჭრები ეახლენ სულთანს. უამბეს მას მათზე მოწეული გასაჭირისა და უბედურების შესახებ, ამ გზით დახმარების მიღება სურდათ. იხმო სულთანმა, არაბეთის მეფე დურბეზი, მხედართმთავრად დაადგინა ილღაზი. უბრძანა სულთანმა, მთელ თურქმანთა მოდგმას თავი მოეყარა სალაშქროდ. მათთან ერთად განძის ათაბაგს და სომხეთის ყველა ამირას.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

შეიკრიბნენ ისინი და აგვისტოს თორმეტში მოადგნენ თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორს. იმდენი იყვნენ, რომ ფეხის დასადგმელი ადგილიც კი აღარ იყო.

დავით მეფემ ბრძოლაში სამ საათში გაიმარჯვა. მტერმა პირველივე შეტევის მოგერიებაც კი ვერ შეძლო.

შემდეგ წელს პირველივე ბრძოლით აიღო მეფემ ქალაქი ტფილისი, ოთხასი წელი სპარსელთა ხელში ნამყოფი. დაუმკვიდრა თავის შთამომავლებს საუკუნო საჭურჭლედ და სახლად.

ეახლენ დავითს ანელთა მოციქულები და მოახსენეს ქალაქისა და ციხის მტრის ხელში გადასვლა. სწრაფად დაგზავნა მეფემ ლაშქრის შესაკრებად წერილები და მესამე დღეს სამოცი ათასი მხედარი უკვე მის წინაშე იდგა. გაემართა დავითი იქითკენ და

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ადვილად აიღო მესამე დღეს ქალაქი ანისი და მისი ციხეები.

არა მხოლოდ თავისი სამეფოს მონასტრებისთვის ზრუნავდა, არამედ საბერძნეთში, მთაწმინდის, ბოლღარეთის, ასურეთის, კვიპროსის, შავი მთის, პალესტინის. განსაკუთრებით გაამდიდრა ნაირგვარი შესაწირავებით იერუსალიმში არსებული წმინდა ადგილები. ამასთან ერთად რამდენი ეკლესია ააშენა, რამდენი ხიდი გასდო საშიშ მდინარეებზე, რამდენ ძნელად სავალ გზაზე დააგო ქვა. ეს დიდი საქმეები ისეთი სიადვილით წარმართა, როგორც სხვა ვერავინ მოახერხებდა. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ადანაშაულებენ მეფეს ამდენი ბრძოლის, ლაშქრის შეუსვენებელი მიმოსვლის და განსაცდელში ყოფნის გამო. მათი თქმით, მშვილდიც ვერ აიტანს მუდმივად

მოზიდულობას. მაგრამ ამის მოქმელებმა ჯერ ის მოისმინონ, რომ სამეფო დასუსტებული და დაუძლურებული იყო, ლაშქარი შემცირებული და ვინც იყო, ისინიც გალაჩრებული. რომ არა ამდენი ლაშქრობა, ბრძოლები, სწორი და მამაცური წინამძღოლობით მხედართა გაწვრთნა, როგორ მოეპოვებინა ამდენი გამარჯვება, როგორ მოეშორებინა ქვეყნისთვის მტერი?

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

კითხვები:

- (1) **38.1.** ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების რა დამაბრკოლებელი გარემოებაა აღნიშნული წყაროში?
- (1) **38.2.** თქვენი აზრით, რატომ შეიყვანა მეფემ თავისი რჩეული მხედრები ყივჩაღთა რაზმებში?
- (1) **38.3.** თქვენი აზრით, რა იგულისხმება განძელ-ტფილელ-დმანელ ვაჭრების თავზე „მოწეულ გასაჭირსა და უბედურებაში“?
- (1) **38.4.** წყაროს მიხედვით, როგორ ხდებოდა საქართველოში მეომრების სალაშქროდ გამოძახება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **38.5.** თქვენი აზრით, რატომ გაამდიდრა მეფემ შესაწირავებით განსაკუთრებით იერუსალიმში არსებული წმიდა ადგილები?

(1) **38.6.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ მეფე ვაჭრობის განვითარებაზე ზრუნავდა?

(1) **38.7.** წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ქვეყნები, სადაც დავით მეფე ლაშქრობდა ყივჩაღთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრით.

(2) **38.8.** წყაროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოთვალეთ, კონკრეტულად რისთვის სჭირდებოდა დავით მეფეს საკუთარი ჯარის სიმრავლე.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **38.9.** წყაროს მიხედვით, ბრძოლისუნარიანობის გარდა, კიდევ რა მიზეზებმა განაპირობა, რომ მეფე დავითმა არჩევანი სწორედ ყივჩაღებზე შეაჩერა და არა სხვა ხალხზე?

(2) **38.10.** რა კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის წყარო მეფის თანამებრძოლ გიორგის შესახებ, გარდა იმისა, რომ მეფეს ახლდა ოვსეთში და იქ გარდაიცვალა?

(2) **38.11.** დავითის მეფობის დასაწყისში ქართული ლაშქრის რა კონკრეტულ ნაკლოვანებებს ასახელებს მემატიანე?

(2) **38.12.** ზოგადად ვის გულისხმობს მემატიანე მათში, ვინც ამბობდა: „მშვილდიც ვერ აიტანს მუდმივად მოზიდულობას“ და კონკრეტულად რასთან დაკავშირებით ამბობდნენ ამას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)